ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 119240464**

თარიღი:**15/02/2024**

<u>წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ</u>

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 35-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამდივნო განყოფილების მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) განათლება - უმაღლესი;

ბ) სამუშაო გამოცდილება - 1 წელი;

გ) კომპიუტერული პროგრამების ცოდნა (Microsoft Office Word, Microsoft Office Excel) კარგად;

დ) ქართული ენის ცოდნა (წერითი უნარები - C2, მეტყველება - C2);

ე) შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:

ე.ა) საქართველოს კონსტიტუცია;

ე.ბ) ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;

ე.გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

ე.დ) საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;

ე.ე) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;

ე.ვ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი;

ე.ზ) საკრებულოს აპარატის დებულება.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი